

ახალი თაობა



დავით ლორთქიფანიძე:
„გოგა ხაჩიძისთვის არაფერი შეუძლებელია“



„ნაციონალები ჩემს პროვოცირებას ცდილობენ“

სუთშაბათი, 24 დეკემბერი, 2015

№302 (6922)

ფასი: 50 თეთრი

რატომ გადადგა ღარიბაშვილი



გვ.2


ვინ გახდება ახალი პრემიერი კვირიკაშვილი, სერგეენკო თუ ვინმე სხვა?

სერგო რატიანი:
„ქართული ოცნების გადარჩენის შანსი მსირაა“



გვ.5

გელა ნიკოლაიშვილი:



„ანასტასია ზაუტაშვილი უოლიტატივარტა სიიდან ჩვენ ამოვიღეთ“



გვ.4



გვ.4

დავით ზსუფაშვილი:
„დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ვხედავ“

თორნიკე შარაშენიძე:
„ვიზალიზაციაში უნდა იყოს აფხაზები და ოსებიც ისარგებლებენ“



გვ.5

ალექო ელისაშვილი:
„გასულია ლანძვა-თათხვას მოეშვას და გამოთქმები შეარჩიოს“




გვ.4



ISSN 1987-9385
9 771987 938006

„ჰიპის“ აბარის ქარხანა გუშაობას წყვეტს **გვ.6**

თავდასვის საინისტროს 600-მდე თანამშრომელი საახალწლოდ უშუქვარია რჩება



გვ.6



გვ.7

„ივანიშვილს გასულია და კობახიძის რამოსილება სურს“

გიორგი ლალიძე:
„ელისაშვილი საეჭვოდ ალაპარაკდა“

დავით ლორთქიფანიძე: „გოგა ხაჩიძისთვის არაფერი შეუძლია“

„ნაციონალები ჩემს პროვოცირებას ცდილობენ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აწყობთ ნაციონალებს თავიანთი მხარდამჭერების ციხეში დატოვება, დაესხა თუ არა თავს გოგა ხაჩიძეს, რა პროვოკაციებია მის წინააღმდეგ მოსალოდნელი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრება.



თანხმდნენ, მაშინ ვუთხარი, ახლა შევალ, გამოვალ და მერე ვილაპარაკოთ-თქო.



ახლა ცდილობენ, რომ ეს ყველაფერი ფინანსურ ნაწილში გადაიყვანონ.

დავით ლორთქიფანიძე:
– ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს აკეთებს, რომ მე, როგორც ჯალათი, ისე წარმომაჩინოს. ყველაფერი იქით მიჰყავთ, რომ თითქოს ის აქცია, რომლის დროსაც ინციდენტი მოხდა, ჩემ წინააღმდეგ იყო მოწყობილი. სინამდვილეში ნაციონალების მიერ მართული ახალგაზრდები „ქართული ოცნების“ დეპუტატებს უსწორებდნენ ანგარიშს.

– იმ მომენტში რომ დალაპარაკებოდით, არ შეიძლებოდა?

– პარლამენტთან რომ მივედი, 2 საათი იყო დაწყებული, არადა სხდომა პირველ საათზე დაიწყო. რეგისტრაციის გავლა მინდოდა და ამიტომ ვჩქარობდი შენობაში შესვლას. ამას მოჰყვა ის, რაც მოხდა. ისინი შეურაცხყოფაზე და გინებაზე გადმოვიდნენ, აგინებდნენ ბიძინა ივანიშვილს, აგინებდნენ მთელ „ქართულ ოცნებას“. ამის გარდა, ხელითაც შემეხნენ.

– რას გულისხმობთ?

– ექსპერტს შეაფასებინეს ეს ამბავი, ექსპერტის განმარტებით, მე იმ დღეს 79 ლარის ზარალი მომადგა. 50 ლარად შეფასდა მაშინ გატეხილი სათვალე, ხოლო პიჯაკი – 20 ლარად. ამათი აზრით, მკერავი პიჯაკის შემოკერვაში 20 ლარს გამოიმართმევს.

– თქვენ თვლით, რომ ამ ზარალზე საუბარი არ უნდა ყოფილიყო?

– აქ მატერიალური ზარალი არაა მთავარი. ინციდენტის დღეს მე დავეკითხე და ამასთან დაკავშირებით სიტყვაც კი არ მითქვამს. აღმაშფოთებული ის იყო, რომ პარლამენტის წევრს არ ეძლეოდა სამუშაო ადგილზე შესვლის უფლება. ისე არავინ გაიგოს, რომ ვინმეს აქციის გამართვას ვუშ-

ლი. ეს დემოკრატიული ქვეყანაა და მშვიდობიანი აქციის გამართვა ყველგან შეიძლება, მათ შორის პარლამენტთანაც, უბრალოდ, ფიზიკური შეხება უნდა გამოირიცხოს, რაც, პირველ რიგში, საზოგადოების შეურაცხყოფაა.

– რაც მოხდა, ცუდი ფაქტია, მაგრამ უნდა დაეპატიმრებინათ თუ არა ისინი? ბევრი თქვენი კოლეგა ფიქრობს, რომ ამ 3 ახალგაზრდისთვის პატიმრობის შეფარდება საჭირო არ იყო.

– ციხეში არავის წასვლა არ მიხარია. მათი დაკავებიდან მეორე დღეს იმედი გამოვთქვი, რომ ისინი გამოძიებასთან ითანამშრომლებდნენ და პროკურატურაც შედარებით მსუბუქ სასჯელს მოითხოვდა. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს ახალ-

გაზრდები გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებენ.

ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, როცა ამ ბიჭების შეწუხებულ ახლობლებს ვუყურებ. განსაკუთრებით მაშინ დამწვა გული, როცა ერთ-ერთი მათგანის ბებია ვნახე. მე ამ ადამიანებზე არანაკლებად შეწუხებული ვარ და მშობლებს მოვუწოდებ, რომ შეიძლება რაც შეიძლება მალე იხსნან ნაციონალების ტყვეობიდან. ის ხალხი დღეს ნაციონალებს ჰყავთ ტყვეობაში აყვანილი.

– ნაციონალებს რანაირად მყავთ ტყვეობაში აყვანილი?

– ყველაფერს აკეთებენ საიმი-სოდ, რომ ისინი გარეთ არ გამოვიდნენ. თუ ვინმეს ამ ბიჭების გათავისუფლება არ აწყობს, ეს ყოფილი ხელისუფლებაა. მათ ეს ხალხი ციხეში სჭირდებათ.

– ციხეში მათი ყოფნა ნაციონალებს რაში სჭირდებათ?

– ეს გარე მოხმარებისთვის გათვლილი ნაბიჯია. უნდათ დასავლეთს დაანახონ, რომ „ქართული ოცნება“ ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერებს სდევნის. ამასთან დაკავშირებით მათ უკვე ექნებათ „დანოსები“ დაწერილი ევროპასა და ამერიკაში.

ამ ახალგაზრდებთან დაკავშირებით პარლამენტმა პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა. ამ შუამდგომლობას ხელს 50 დეპუტატი აწერს, მათ შორის ვარ მეც.

– მათ გათავისუფლებას ითხოვთ?

– არა. ჩვენ ვითხოვთ, რომ ისინი საპატიმროში არ იყვნენ და სასამართლომ ისე გააგრძელოს მათი საქმის განხილვა. ეჭვი, რომ ნაციონალებს მათი გათავისუფლება არ ან-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 წელი ინტერნეტი სარშერად!

განვადებით, მაგთიკომის ოფისებში

4G LTE

სმარტფონები

მაგთიკომი



ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhaliatoba>

24
დეკემბრისთვის



აშშ დოლარი — 2.4033



ინგლისური სტერლინგი — 3.5800



ევრო — 2.6278



100 რუსული რუბლი — 3.3802

ქართული ლარის ვივარტო უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი



როგორ სჭირდება დაჯილდოვანს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა დააჯილდოვეს. მან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩატარებული პროექტის „წლის საუკეთესო“ გამარჯვებული გახდა.

რეჟისორი დაჯილდოვდა ნომინაციაში „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენა“. ამ ნომინაციაში წარდგენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენიდან ყველაზე მეტი ხმა მაყურებელმა სწორედ რობერტ სტურუას მისცა.

2015 წელს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტმა ქართველ რეჟისორს მსოფლიო

ფარულია ნას საუკეთესო მოხსნელთა ხუთეულია საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაშულია კარიერის საუკეთესო სეზონს რომ ატარებს, ამაზე უკვე არავინ დავიწყებს. მეტიც, მიმდინარე სეზონში ზაზა ნას საუკეთესო მოხსნელთა ხუთეულში შედის — დალას მავერიკსის ქართველი ცენტრი მთელს ლიგაში მე-5 პოზიციაზეა და ეს ძალიან დიდი შედეგია. სწორედ ამ მხრივ ზაზას თამაში ტორონტოში ვერ ჩაითვლება შედეგიანად, რადგან მან შეხვედრა მხოლოდ 3 მოხსნით დაასრულა.

ფაშულიამ ტორონტოში 99:103 წაგებულ მატჩში სასცენტრი მთელს ლიგაში მე-5 პოზიციაზეა და ეს ძალიან

ეუმოხი

ქმარი ცოლს ეკითხება:
— ძვირფასო, ახალ წელს რა უნდა მაჩუქო?
— საკუთარი თავი.
— ჰო, რა თქმა უნდა, მაიმუნის წელი მოდის!
— მაშასადამე აფთიაქი შედის და კითხულობს:
— რძე გაქვთ?
— არა, ეს ხომ აფთიაქია.
— მაშასადამე პალტოს ქვევიდან ჯოხი გამოაძვინა და იქაურობა დალენა. მთელი დღე აფთიაქის მფლობელმა იქაურობის მოწვევას მოანდომა. მეორე დღით ისევ შემოდის მაშასადამე კითხულობს:
— რძე გაქვთ?
— რძე აფთიაქებში არ იყიდება!
— მაშასადამე ისევ მილენ-მოლენა იქაურობა და წავიდა. ისევ ალაღვინეს ყველაფერი. მესამე დღით ისევ შედის მაშასადამე აფთიაქში. გამყიდველი სიტყვის თქმას არ აცლის და ეუბნება:
— გვაქვს რძე, გვაქვს!
— ჰმ! დღეს რძე ყველა აფთიაქში აქვთ, პური თუ გაქვთ?

რეჟო გაბრიელის იუბილას მოსკოვში გამოუენა ვიქტორია

რეჟისორს, სცენარისტს და მხატვარს რეჟო გაბრიელს მომავალ წელს 80 წელი უსრულდება. მის დაბადების დღემდე საკმაოდ შორია, მაგრამ რუსეთის დედაქალაქში ამისთვის მზადება უკვე დაწყებულია და აქტიური ფაზაშიც არის გადასული.

მოსკოვში რეჟო გაბრიელის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გრანდიოზული გამოვენა გაიხსნება. 12 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით მოსკოვის მუზეუმში გაიმართება ქართველი ხელოვნების ნამუშევრების მულტიმედიური გამოვენა, რომელიც ოსტატის იუბილეს მიეძღვნება.

გამოვენის პარალელურად, მოსკოვში მართონებენ თეატრის გასტროლიც გაიმართება. მაყურებელი თეატრის რეპერტუარში არსებულ ოთხ სპექტაკლს ნახავს „რამონა“, „სტალინგრადი“, „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ და „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“.

როგორც მხატვარი რეჟო გაბრიელმა მსოფლიოს სხვადასხვა საგამოფენო სივრცეებში იფინება. მისი ნამუშევრები ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია დაცული. მხატვარი 50-ზე მეტი ნიგნის ილუსტრაციის ავტორია.



რეჟო გაბრიელი საქართველოში, ასევე საფრანგეთსა და რუსეთში.

ლიგო სიმონე მზად არის, ჩელსი ჩაიბაროს

ბრიტანულ პრესაში ჩელსიზე და მის მომავალ მწვრთნელზე საუბრები არ წყდება. მოგეხსენებათ, რომ ურზე მაურინიოს ეს პოსტი დაატოვებინეს და სეზონის ბოლომდე ჩელსის გუნდს მუდმივად უხელმძღვანელებს. ზაფხულში კი ჩელსიში დიდი ცვლილებები იგეგმება და სავარაუდოდ გუნდში ახალი მწვრთნელი მივა საუბრებში.

ყველას აინტერესებს, ვინ იქნება მაურინიოს მემკვიდრე და ამ თემაზე დისკუსიები არ წყდება.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატურა მადრიდის ატლეტიკოს დამრიგებელი დიეგო სიმონეა, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ახალგაზრდა მწვრთნელად ითვლება.

თუ ბრიტანულ პრესას ვენდობით, სიმონე დათანხმდა ჩელსის განკურნებას, მაგრამ კლუბისგან ტრანსფერზე სრული კონტროლი მოითხოვს.

თვითონ სიმონეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, თუმცა ასეთი ჭორები, როგორც წესი, სიმართლესთან ახლოს არის.




ფილიპო ინსაგი შეიძლება ლიონის მწვრთნელი გახდეს

იტალიური ფეხბურთის ლეგენდა ფილიპო ინსაგი შეიძლება მალე ლიონის მთავარი მწვრთნელი გახდეს.

ამჟამად ლიონის უბერ ფურნიე წვრთნის, რომლის მუშაობითაც ლიონის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა. ლიონმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სრული ფასკო განიცადა და ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავიდა. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმის, რომ ლიონში შესაძლოა ახალი მწვრთნელი მოვიდეს.

ინსაგის შარშან მილანი ჰყავდა ჩაბარებული, მაგრამ ფილიპო ვერ შეძლო მილანის კრიზისიდან ამოყვანა, რის შემდეგაც ის დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს. ამჟამად ინსაგი არც ერთ გუნდში არ მუშაობს.




ბარსელონის გერმანელი მკვარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი გუნდიდან ნასვლად დაფიქრდა

ბარსელონის გერმანელი მკვარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი გუნდიდან ნასვლად დაფიქრდა.

ტერ შტეგენი უკმაყოფილოა, რომ მან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე არც ერთი შეხვედრა არ ჩაატარა და ბარსელონას ორივე შეხვედრაში მის კარს კლაუდიო ბრაუო იცავდა.

ტერ შტეგენი ელოდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მას მცირე სათამაშო დროს მაინც მისცემდნენ, თუმცა ეს ასე არ მოხდა, რამაც გერმანელი მკვარის უკმაყოფილება გამოიწვია.


ესპანეთის ჩემპიონატში ბარსელონას კარის დარაჯი კლაუდიო ბრაუოა, ხოლო ტერ შტეგენი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის და ესპანეთის თამაშებში იღებს მონაწილეობას.



ჩაალა ბენიფანი შესაძლოა ახალ წლაფა დაითხოვოს

მადრიდის რეალში ძალიან დაძაბული ვითარებაა შექმნილი. გუნდი ვერ აჩვენებს სათანადო შედეგებს და ვერც რაიო ვალეკანოს კარში გატანაში 10-მა გოლმა გაამყარა რაფაელ ბენიტესის რეპუტაცია.

გარდა ამისა, აქტიურად დადის სმები იმის შესახებ, რომ ბენიტესს უთანხმოება აქვს კლუბის რამდენიმე წამყვან ფეხბურთელთან, რომლებსაც მასთან მუშაობა არ სურთ. როგორც ჩანს, რეალის ხელმძღვანელობასაც აღარ აკმაყოფილებს ბენიტესის მუშაობა და შესაძლოა ის უახლოეს დღეებში გაათავისუფლონ.



როგორც ბარძიმაშვილი დაუდგას



ხელოვნების სასახლეში რობერტ ბარძიმაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მუზეუმის უკვდავთა ბაღს კიდევ ერთი ხელოვნების ბიუსტი შეემატა. მოხდა მუსიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომის პრეზენტაცია.

რობერტ ბარძიმაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების იდეის ავტორი ნია ბახტაძე იყო, დიზაინი კი მარკო კოლეტი იყო. ნია ბახტაძე, ბუბა კიკაბიძე, კახა ცაბაძე, ნანი ბრევიაძე, თაკო ჩარკვიანი, ევა მამალაძე შეიკრიბნენ.

მთავრად ეკა ირეკიშვილი